განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სამუსიკო ხელოვნება
დოქტორანტურა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
23.02.02

დასკვნის წარდგენის თარიღი
06.04.22

თბილისი
2022

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სამუსიკო ხელოვნება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სამუსიკო ხელოვნების დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0805[1] |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული; 2019 წლის 22 იანვრის N22 გადაწყვეტილება |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან თაყაიშვილი, სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ბოლაშვილი სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, |

[1] პროგრამა აკრედიტებულია ამჟამად უკვე გაუქმებული 120/ნ საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირობებში

| | |
|---|---|
| | საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკალურ-შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებს უხსნის შემოქმედებითი, კვლევითი და პედაგოგიური პოტენციალის გამოვლენისა და აკადემიური გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. მუსიკოსს (მკვლევარს/შემსრულებელს/კომპოზიტორს) საშუალება ეძლევა, გააფართოოს და უფრო სიღრმისეულად გაიაზროს თავისი საქმიანობა. პროგრამა ორიენტირებულია, მოამზადოს კურსდამთავრებულები საერთაშორისო მასშტაბის მუსიკოს-პრაქტიკოსისა და მკვლევრის პროფესიული კარიერისათვის.

პროგრამა სამწლიანია, შესაძლოა, 5 წლამდეც გაგრძელდეს, მოიცავს ინტენსიური საკურსო მუშაობის ერთ წელსა და სადოქტორო კვლევის ორ წელიწადს, ითვალისწინებს წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილებას და ჩართული ჰყავს უცხოელი კონსულტანტები.

პროგრამის მიხედვით, დოქტორანტმა სამუსიკო ხელოვნების დარგში უნდა შექმნას ახალი ცოდნა, რაც გულისხმობს საკუთარი ორიგინალური კომპოზიციების ან საშემსრულებლო ინტერპრეტაციების პორტფოლიოს 1) თანმხლები კომენტარებით ან 2) დისერტაციით, სადაც ასახული იქნება მისი ორიგინალური ხედვა, ტექნიკური კომპეტენციები და დარგის სიღრმისეული ცოდნა. პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტს ამ ცოდნის შეძენასა და უნარების გამომუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში სწავლის შედეგები მოცემულია ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები - ძველი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, რაც მისაღებია გარდამავალი პერიოდისათვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა 2021 წლის გეგმური მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების

შესრულების მონიტორინგის შესახებ" ცენტრის დირექტორის 320191, 02/04/2021 ბრძანების მიხედვით, განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმური მონიტორინგი. აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით (ოქმი 776618, 06/08/2021), აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განესაზღვრა 60-დღიანი ვადა "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან

მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

შესაბამისად, მიმდინარე არაგეგმური მონიტორინგით შეფასება გულისხმობდა დაწესებულების მიერ 60 დღის ვადაში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (ბრძანება 112464, 04/02/2022) იგივე შემადგენლობით და არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში განხორციელდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2021 წლის წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1279374) წარმოდგენილი ,,სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის სხდომაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება.

აკრედიტაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები არსებული პირობების გათვალისწინებით წარიმართა: მიღებული დოკუმენტაციის ინდივიდუალურად გაცნობის შემდეგ აკრედიტაციის ჯგუფის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ ონლაინ რეჟიმში, Google Meet პლატფორმაზე. მუშაობა მიმდინარეობდა თანამშრომლობით ატმოსფეროში, პოზიციების გაზიარებისა და შეჯერების საფუძველზე.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- მიმდინარე ეტაპზე განხორციელდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამა აკმაყოფილებს შეფასების ყველა სტანდარტს და ითვალისწინებს როგორც ზოგად მოთხოვნებს, ასევე მუსიკოს-შემსრულებლის საქმიანობიდან გამომდინარე სპეციფიკურ საჭიროებებს. ექსპერტთა აზრი დაფუძნებულია არაგეგმიური და გეგმიური მონიტორინგის შედეგების შეჯერებაზე.

**რეკომენდაციები**
არ არის

**რჩევები**
არ არის

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2021 წელს აკრედიტაციის შემდეგ პროგრამამ მიიღო ორი რეკომენდაცია.
არაგეგმიური მონიტორინგისთვის წარმოდგენილ პროგრამაში გეგმიური მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად შეტანილია ცვლილებები. ქვემოთ რეკომენდაციებთან ერთადაა წარმოდგენილი, როგორ აისახა ისინი პროგრამაში.

წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები:

1. *პროგრამის კრედიტების მითითებული რაოდენობაა 180 კრედიტი, რაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის მოთხოვნებს და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა, მათი დანარჩენი რაოდენობა კი არ უნდა იყოს მითითებული.*

საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია მოყვანილი კანონმდებლობასთან, კერძოდ, ითვალისწინებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ (46-ე მუხლი, გ) ქვეპუნქტი) მოთხოვნებს - "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს", რაც შემდეგი სახითაა ასახული:

1) სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტები - 60, განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისათვის და მოიცავს სავალდებულო (ჯამში 54 კრედიტი) და არჩევითი (შეთავაზებულია სამი 6-კრედიტიანი კურსი) საგნების ჩამონათვალს, რაც უცვლელი სახით დარჩა გეგმიური მონიტორინგის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შედარებით.

2) ცვლილება აისახა შემდეგში - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი აღარ იზომება კრედიტებში, გეგმიური მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციისგან განსხვავებით, სადაც მისთვის 120 კრედიტი იყო განსაზღვრული (სადოქტორო პორტფოლიო).

2. **რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპელქსური კვლევის მეთოდები“, „ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“, შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.**

გაცემული რეკომენდაციის თანახმად, სასწავლო კურსები - „მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, „ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“ შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურთან და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამაში, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის თანახმად, შეტანილია შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ, გადამუშავებული, განახლებული და მიზნებთან შესაბამისობაშია მოყვანილი სამივე კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია. მაგალითად, სასწავლო კურსში „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, წარმოდგენილი ლიტერატურის სია განახლებულია ავტორიტეტული გამოცემების (ამსტერდამის, პრინსტონის, ოქსფორდისა და სხვა უნივერსიტეტების გამოცემები) ბოლოდროინდელი უცხოურენოვანი შრომებით კვლევის უახლეს მეთოდებზე; კურსში "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე

მეთოდები“ ლიტერატურის სია წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურით ქართულ და უცხოურ ენებზე.

სასწავლო კურსის "ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა" სილაბუსში მითითებულია ძველებური მუსიკის ავტორთა ტრაქტატები და მე-20-21-ე საუკუნის ნაშრომები მე-17-18 საუკუნეების მუსიკის ინტერპრეტაციის შესახებ. ლიტერატურის სია თემატურად და აზრობრივად მოწესრიგებულია.

არაგეგმიურ მონიტორინგსა და გეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილი სილაბუსების შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი: სასწავლო კურსების - "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“ და "მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“ სტრუქტურის კომპონენტების ნაწილი, როგორიცაა კრედიტების რაოდენობა, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, სწავლის მეთოდები, უცვლელია. ასევე უცვლელი დარჩა საათების რაოდენობა (საკონტაქტო - 48 სთ, დამოუკიდებელი მუშაობა - 252 სთ, სულ - 300 სთ). თუმცა ნაწილობრივ შეიცვალა საათების განაწილების სქემა.

გარკვეული ცვლილებებია შეტანილი შეფასების კომპონენტებისა და მინიმალური ზღვრების სისტემაში.

დასახელებულ სასწავლო კურსებში კორექტირებულია სასწავლო მიზანი და შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნებთან. მაგალითად,

- "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“
  თუ კურსის მიზანი იყო "შესძინოს დოქტორანტს მუსიკოლოგიის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინათა კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდებით მუსიკალური ნიმუშის დამუშავების უნარი" წარმოდგენილი სილაბუსი ფოკუსირებულია ცოდნის გაღრმავებაზე ("შესძინოს" --> "გააღრმავოს").

- "მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“
  სილაბუსში წარმოდგენილი ცვლილებები ხაზის გასმითაა მონიშნული *"კურსის მიზანია **გაუღრმავოს** (იყო **მისცეს**) დოქტორანტებს მუსიკოლოგიაში კვლევის უახლესი მეთოდების **კომპლექსური** ცოდნა, განუვითაროს მათ მუსიკალური ნაწარმოების სხვადასხვა კომპონენტის ანალიზის და სინთეზის გზით ერთიანი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და აღჭურვოს ისინი არსებული სამეცნიერო ცოდნის გადაფასებისთვის საჭირო კრიტიკული ანალიზის უნარით".*

ცვლილებებია შეტანილი სასწავლო კურსების შინაარსში. კერძოდ, "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდებში“ გაშლილია და უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ლოგიკის კომპონენტი, ასევე, გაფართოებულია სემიოტიკის მეთოდების შესწავლა. გაფართოებულია სასწავლო კურსის "მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“ შინაარსი, კერძოდ, მუსიკალურ-თეორიული სისტემების ისტორიული განვითარება წარმოდგენილია უძველესი დროიდან დღემდე.

ორივე სილაბუსში განახლებულია ლიტერატურის სია (სავალდებულო და დამხმარე წყაროები). წარმოდგენილია ქრესტომათიული და უახლესი გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე.

წარმოდგენილ სილაბუსებში სწავლის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი) მოცემულია კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს მიხედვით.

ცვლილებებია შეტანილი კურსში "ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა":

- მის დასახელებაში აღარაა მოცემული დამაზუსტებელი ინფორმაცია - *მუსიკალურ საშემსრულებლო ხელოვნების მეთოდოლოგიურ პირველწყაროებზე დაყრდნობით.*
- მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საკონტაქტო საათების რაოდენობა 32 სთ--> 47 სთ.
- შესაბამისად, შეიცვალა ლექციების, სემინარებისა და შუალედური შეფასების, ასევე, დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც. ლექციები და სემინარები გაერთიანდა და მიიღო ლექცია-სემინარის სახე 10 სთ+16 სთ-->38 სთ.
- საკონტაქტო საათების გაზრდამ გამოიწვია დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყოფილი საათების შემცირება 118 სთ -->103 სთ.
- ძველი სილაბუსის მიხედვით ტარდებოდა 2 შუალედური შეფასება. განსახილველად წარმოდგენილ სილაბუსში შეფასების ფორმები - კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, საშინაო დავალება - უცვლელი სახით დარჩა, მაგრამ გადანაწილდა 3 შუალედურ შეფასებაზე და დაეთმო 7 სთ 4-ის ნაცვლად.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშსა და მასზე თანდართულ სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი აცხადებს, რომ პროგრამის მიზანს - შეუქმნას ახალგაზრდა მკვლევარს გარემო დამოუკიდებელი, სიახლეზე ორიენტირებული კვლევის წარმართვისთვის, უშუალოდ შეესაბამება მკაფიოდ და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული ამოცანები, რომლებიც, ამავე დროს, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის ამოცანები ასახავს იმ წვლილს, რომელსაც პროგრამა შეიტანს მუსიკის დარგში, კერძოდ, კი მუსიკის შექმნისა და შესრულების, კვლევის, მეთოდოლოგიის მიმართულებით. ამასვე ადასტურებს პროგრამის კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო ნაშრომები - *"ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლების - ანასტასია ვირსალაძის და ანა თულაშვილის შემოქმედებითი და პედაგოგიური გზა და გავლენა თანამედროვე ქართულ საფორტეპიანო სკოლაზე", "გამართული ტექნიკის მნიშვნელობა საფორტეპიანო საშემსრულებლო ხელოვნებაში და მისი გაუმჯობესების ზოგიერთი ასპექტი", "ექსტრამუსიკალური" - მუსიკაში".*<br><br>პროგრამა წარმოადგენს სასწავლო, შემოქმედებითი და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რაც სრულად შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს და მის პრინციპებს. სადოქტორო პროგრამის ამოცანები ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც მიიღებს კურსდამთავრებული.<br>საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს და განავითარებს დარგის სფეროსა და ველს და შეესაბამება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიას.<br>სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს და თანხვედრაშია დარგის განვითარების მოთხოვნებთან.<br>პროგრამის აღწერილობაში ასახულია საერთაშორისო კავშირები, კერძოდ, მის განხორციელებაში ჩართულები არიან კონსულტანტები დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის უნივერსიტეტებიდან.<br><br>პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. |

გეგმიური მონიტორინგის დროს გაცემული პირველი რეკომენდაციის (*პროგრამის კრედიტების მითითებული რაოდენობაა 180 კრედიტი, რაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის მოთხოვნებს და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა, მათი დანარჩენი რაოდენობა კი არ უნდა იყოს მითითებული)* გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია მოყვანილი კანონმდებლობასთან, კერძოდ, ითვალისწინებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ (46-ე მუხლი, გ) ქვეპუნქტი) მოთხოვნებს - "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს":

1) სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტები განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისათვის - 60 კრედიტი და მოიცავს სავალდებულო (ჯამში 54 კრედიტი) და არჩევითი (შეთავაზებულია სამი 6-კრედიტიანი კურსი) საგნების ჩამონათვალს, რაც უცვლელი სახით დარჩა გეგმიური მონიტორინგის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შედარებით.

2) ცვლილება აისახა შემდეგში - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი აღარ იზომება კრედიტებში, გეგმიური მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციისგან განსხვავებით, სადაც მისთვის 120 კრედიტი იყო განსაზღვრული (სადოქტორო პორტფოლიო).

3) აღნიშნული ცვლილება არ ასახულა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში, შეეხო სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სტრუქტურულ გამიჯვნას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- www.iliauni.edu.ge
- სადოქტორო პროგრამა "სამუსიკო ხელოვნება" კურიკულუმი
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
- კურსების - მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, „ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“ სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები დაწვრილებითაა გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამაში და წარმოაჩენს სრულ თანხვედრას მის მიზნებთან და ამოცანებთან. სწავლის შედეგები ორიენტირებულია იმ ცოდნაზე, უნარებსა და კომპეტენციებზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის ამოცანებით. სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, აქედან გამომდინარე, რეალისტურია, შეესაბამება კონკრეტული სფეროს, სამუსიკო ხელოვნების მიმართულების დოქტორანტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და წარმოაჩენს დარგობრივ სამიზნე ნიშნულებს. იგი სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ დოქტორანტურის საფეხურის სწავლებას.<br><br>გეგმიური მონიტორინგის დროს გაცემული პირველი რეკომენდაციის შესრულებით გამოწვეული ცვლილებები შეეხო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სტრუქტურულ გამიჯვნას. აღნიშნული ცვლილება არ ასახულა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.<br><br>აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში სწავლის შედეგები მოცემულია ახალი |

კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები - ძველი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, რაც მისაღებია გარდამავალი პერიოდისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამა "სამუსიკო ხელოვნება" კურიკულუმი
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
- კურსების - მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, „ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“ სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს.<br>სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.<br><br>ასევე, "დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი" მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge".<br><br>პროგრამის კურიკულუმში დაწვრილებითაა აღწერილი მიღების წინაპირობები. აქ მოიაზრება:<br><br>• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია მუსიკაში;<br>• წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით, ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა;<br>• საკუთარი კომპოზიციების ან საშემსრულებლო ინტერპრეტაციების კრებული/პორტფოლიო (განსხვავებული საკომპოზიტორო და საშემსრულებლო მიმართულებისათვის, ასევე ჯაზის კომპოზიციასა და შემსრულებლობაში) |

- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა/გასაუბრება.

ეს პირობები სრულად ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც ამ პროგრამის სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ - მაღალი დონის საშემსრულებლო თუ საკომპოზიტორო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათი სამეცნიერო ინტერესებისა და ამ ინტერესების განვითარების პერსპექტივა როგორც სადოქტორო კვლევითი განაცხადის, ასევე გასაუბრების სახით. ეს ერთობლიობა, როგორც ბაზისი, გარკვეულად გულისხმობს ორიგინალური შემოქმედებითი ხედვის არსებობას, რომლის საფუძველზე პროგრამის მიზანი - საერთაშორისო დონის მუსიკოს-პრაქტიკოსისა და მკვლევრის მომზადება განხორციელდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- www.iliauni.edu.ge
- სადოქტორო პროგრამა "სამუსიკო ხელოვნება" კურიკულუმი
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
- კურსების - მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, „ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“ სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, პროგრამა შეეფერება მოთხოვნილ სტანდარტებს, მისი სტრუქტურა კარგადაა ორგანიზებული.

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ საჭირო ცოდნა და უნარები. მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა:

- სადოქტორო სემინარები (6+6 კრედიტი) - პორტფოლიოს მონახაზზე (პროსპექტუსზე) მუშაობა ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად. სადოქტორო სემინარები სრულდება პორტფოლიოს მონახაზის წარდგენითა და დაცვით დარგობრივი კომისიის წინაშე
- მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები (12 კრედიტი)
- მუსიკალური ნაწარმოებების კომპლექსური კვლევის მეთოდები (12 კრედიტი)
- ასისტირება - სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში ჩართვა (12 კრედიტი)
- დარგობრივი სემინარი - ფარგლებში დოქტორანტი იმუშავებს ხელმძღვანელთან/სხვა პროფესორებთან ერთად პორტფოლიოს მონახაზზე და სწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, გეგმავს სასწავლო აქტივობებს, გაეცნობა მუსიკის სფეროში ახალი შემოქმედებითი მიღწევების, ტექნიკებისა და მეთოდების შესახებ, კრიტიკულად გაიაზრებს მათ (6 კრედიტი)
- სადოქტორო პორტფოლიო - სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე პორტფოლიოს ტიპის, შემოქმედებითი და კვლევითი კომპონენტების განსაზღვრა, პორტფოლიოზე მუშაობის გეგმის დასახვა, საკვლევი საკითხის დადგენა, ლიტერატურის მიმოხილვა, ახალი ცოდნის საჭროების განსაზღვრა, ბიბლიოგრაფიის შედგენა, კვლევის დასახვა.

დოქტორანტურის პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს 6-კრედიტიან არჩევით კურსებს - "დარგობრივი სემინარი", "კურიკულუმის განვითარება და შეფასების სტრატეგიები

| |
|---|
| უმაღლეს განათლებაში", "ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა".<br><br>სადოქტორო პროგრამა სრულდება სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენით და მისი საჯარო დაცვით.<br><br>პროგრამის კურსები, შინაარსი და სტრუქტურა, პროცედურული მხარე ხელს უწყობს მუსიკოს-მესრულებლისა და მკვლევრის შემოქმედებითი და კვლევითი ინტერესების გაღვივებას, ინდივიდუალური ხედვის განვითარებას, შესაბამისობაშია უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნებთან, რაც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.<br><br>გეგმიური მონიტორინგის დროს გაცემული პირველი რეკომენდაციის (*პროგრამის კრედიტების მითითებული რაოდენობაა 180 კრედიტი, რაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის მოთხოვნებს და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა, მათი დანარჩენი რაოდენობა კი არ უნდა იყოს მითითებული)* გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია მოყვანილი კანონმდებლობასთან, კერძოდ, ითვალისწინებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ (46-ე მუხლი, გ) ქვეპუნქტი) მოთხოვნებს - "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს":<br><br>1) სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტები განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისათვის - 60 კრედიტი და მოიცავს სავალდებულო (ჯამში 54 კრედიტი) და არჩევითი (შეთავაზებულია სამი 6-კრედიტიანი კურსი) საგნების ჩამონათვალს, რაც უცვლელი სახით დარჩა გეგმიური მონიტორინგის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შედარებით.<br><br>2) ცვლილება აისახა შემდეგში - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი აღარ იზომება კრედიტებში, გეგმიური მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციისგან განსხვავებით, სადაც მისთვის 120 კრედიტი იყო განსაზღვრული (სადოქტორო პორტფოლიო).<br><br>3) აღნიშნული ცვლილება შეეხო სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სტრუქტურულ გამიჯვნას და არ გამოუწვევია ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მითითებული რაოდენობაა 60 კრედიტი. მისი ხანგრძლივობა შეადგენს 3-5 სასწავლო წელს (6-10 სემესტრი), რაც ითვალისწინებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლს და შესაბამისობაშია მოყვანილი კანონმდებლობასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სადოქტორო პროგრამა "სამუსიკო ხელოვნება" კურიკულუმი |

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი ახალ სტანდარტთან.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

არაგეგმიური მონიტორინგისათვის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები - 2 სავალდებული და 1 - არჩევითი, შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
მუსიკის პროგრამის კურიკულუმი ადასტურებს, რომ ის დოქტორანტების, როგორც აკადემიური სფეროს მომავალი კადრის აღზრდაზეა ორიენტირებული.
საგანმანათლებლო პროგრამა შედგება განსხვავებული ტიპის კურსებისაგან, როგორც ტრადიციული სალექციო, ისე დოქტორანტის ინდივიდუალურ სამეცნიერო

ინტერესებზე მორგებული კურსები, მაგალითად, დარგობრივი სემინარი, სადოქტორო პორტფოლიოს კონცეფცია და ა. შ. წარმოდგენილი კურსები იყოფა სავალდებულო და არჩევით დისციპლინებად.

პროგრამაში, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის თანახმად, შეტანილია შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ, გადამუშავებული, განახლებული და მიზნებთან შესაბამისობაშია მოყვანილი სამივე კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია. მაგალითად, სასწავლო კურსში „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, წარმოდგენილი ლიტერატურის სია განახლებულია ავტორიტეტული გამოცემების (ამსტერდამის, პრინსტონის, ოქსფორდისა და სხვა უნივერსიტეტების გამოცემები) ბოლოდროინდელი უცხოურენოვანი შრომებით კვლევის უახლეს მეთოდებზე; კურსში "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“ ლიტერატურის სია წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურით ქართულ და უცხოურ ენებზე.

სასწავლო კურსის "ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა" სილაბუსში მითითებულია ძველებური მუსიკის ავტორთა ტრაქტატები და მე-20-21-ე საუკუნის ნაშრომები მე-17-18 საუკუნეების მუსიკის ინტერპრეტაციის შესახებ. ლიტერატურის სია თემატურად და აზრობრივად მოწესრიგებულია.

არაგეგმიურ მონიტორინგსა და გეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილი სილაბუსების შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი: სასწავლო კურსების - "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“ და "მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“ სტრუქტურის კომპონენტების ნაწილი, როგორიცაა კრედიტების რაოდენობა, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, სწავლის მეთოდები, უცვლელია. ასევე უცვლელი დარჩა საათების რაოდენობა (საკონტაქტო - 48 სთ, დამოუკიდებელი მუშაობა - 252 სთ, სულ - 300 სთ). თუმცა ნაწილობრივ შეიცვალა საათების განაწილების სქემა:

- ✓ ინტერაქციული ლექცია-სემინარი - 43 სთ --> 39 სთ
- ✓ საშინაო დავალება - 2 სთ --> 6 სთ
- ✓ დასკვნითი შეფასება – 3 სთ.

გარკვეული ცვლილებებია შეტანილი შეფასების კომპონენტებისა და მინიმალური ზღვრების სისტემაში.

დასახელებულ სასწავლო კურსებში კორექტირებულია სასწავლო მიზანი და შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნებთან. მაგალითად,

- "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“
  თუ კურსის მიზანი იყო "შესძინოს დოქტორანტს მუსიკოლოგიის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინათა კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდებით მუსიკალური ნიმუშის დამუშავების უნარი" წარმოდგენილი სილაბუსი ფოკუსირებულია ცოდნის გაღრმავებაზე ("შესძინოს" --> "გააღრმავოს").

- "მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“
  სილაბუსში წარმოდგენილი ცვლილებები ხაზის გასმითაა აღნიშნული *"კურსის მიზანია* ***გაუღრმავოს*** *(იყო* ***მისცეს****) დოქტორანტებს მუსიკოლოგიაში კვლევის*

*უახლესი მეთოდების **კომპლექსური** ცოდნა, განუვითაროს მათ მუსიკალური ნაწარმოების სხვადასხვა კომპონენტის ანალიზის და სინთეზის გზით ერთიანი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და აღჭურვოს ისინი არსებული სამეცნიერო ცოდნის გადაფასებისთვის საჭირო კრიტიკული ანალიზის უნარით".*

ცვლილებებია შეტანილი სასწავლო კურსების შინაარსში. კერძოდ, "მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდებში" გაშლილია და უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ლოგიკის კომპონენტი, ასევე, გაფართოებულია სემიოტიკის მეთოდების შესწავლა. გაფართოებულია სასწავლო კურსის "მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები" შინაარსი, კერძოდ, მუსიკალურ-თეორიული სისტემების ისტორიული განვითარება წარმოდგენილია უძველესი დროიდან დღემდე.

ორივე სილაბუსში განახლებულია ლიტერატურის სია (სავალდებულო და დამხმარე წყაროები). წარმოდგენილია ქრესტომათიული და უახლესი გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე.

წარმოდგენილ სილაბუსებში სწავლის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი) მოცემულია კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს მიხედვით.

ცვლილებებია შეტანილი კურსში "ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა":

- მის დასახელებაში აღარაა მოცემული დამაზუსტებელი ინფორმაცია - *მუსიკალურ საშემსრულებლო ხელოვნების მეთოდოლოგიურ პირველწყაროებზე დაყრდნობით.*
- მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საკონტაქტო საათების რაოდენობა 32 სთ--> 47 სთ.
- შესაბამისად, შეიცვალა ლექციების, სემინარებისა და შუალედური შეფასების, ასევე, დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც. ლექციები და სემინარები გაერთიანდა და მიიღო ლექცია-სემინარის სახე 10 სთ+16 სთ-->38 სთ.
- საკონტაქტო საათების გაზრდამ გამოიწვია დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყოფილი საათების შემცირება 118 სთ -->103 სთ.
